დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2
დეპარტამენტი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც ასრულებს სამსახურისა და ამ დებულებით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და ფუნქციებს. დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამსახურს.

მუხლი 3
დეპარტამენტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის (შემდგომში - სამსახურის უფროსი) სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 4
დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II
დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5
დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან კოორდინაციით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების შემუშავება;
ბ) ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) საფრთხეების, რისკებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების, ანალიზის, პრევენციის ან/და მათი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის/შემუშავების კოორდინაცია და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი;

გ) საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზება და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
დ) ეროვნული სიტუაციური ოთახის მუდმივი მზადყოფნისა და ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს, მისი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის დებულების შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მუხლი 6
დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების შემუშავება. არსებული ვითარების ანალიზის მიზნით ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ასევე სამუშაო ჯგუფების შექმნა მათი წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით;
ბ) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
გ) საგანგებო სიტუაციის შემდგომ პერიოდში გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა და ანალიზი;
დ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქციების მომზადებაში მონაწილეობა;
ე) შესაბამისი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან, საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრის მიზნით, ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება;
ვ) რისკის ხარისხებიდან გამომდინარე ქალაქებისა და ობიექტების კატეგორირება, აგრეთვე რისკის დონეების განსაზღვრა;
ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსახორციელებელი საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და რეაგირების, ასევე უსაფრთხოების სასწავლო პროგრამების შეთანხმება;
თ) სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ხელშეწყობის მიზნით ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ი) საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან ოპერატიული კავშირების უზრუნველყოფა და კოორდინირება;
კ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმების ფარგლებში ცალკეული ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა;
ლ) ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვის დროს, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და სამაშველო ჯგუფების მოთხოვნის საჭიროების განსაზღვრა და წინადადების მომზადება;
მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
ნ) საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვაში მონაწილეობა;
ო) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებაში მონაწილეობა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის ორგანიზება;
ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, საომარი მდგომარეობის დროს ეროვნული თავდაცვის გეგმითა და მშვიდობიანობის დროს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება;
რ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების მუდმივი ანალიზი და სამსახურის უფროსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმირება ვითარების შესახებ. აგრეთვე, შესაბამისი უწყებებისათვის ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება;
ს) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;
ტ) კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული სისტემის სუბიექტების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტებიდან გამომდინარე უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინირება;
უ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის მიმდინარეობისა და განვითარების დინამიკის შესახებ;
ფ) ქვეყნის მასშტაბით შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, პრევენციის, მათი შედეგების შემცირებისა და ლიკვიდაციის, ასევე აღდგენითი სამუშაოების განხორციელების მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და კოორდინირება;
ქ) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის პროექტის შემუშავების კოორდინირება;
ღ) საგანგებო სიტუაციების ეროვნული სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება, მათთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციების მომზადება;
ყ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყებებსა და დაწესებულებებთან ერთად საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრა, მისი წინმსწრები მოვლენების მონიტორინგი და, ამ მიზნით, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
შ) ეროვნული დონის საგანგებო სიტუაციის დროს შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვაში მონაწილეობა;
ჩ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის მომზადების ორგანიზება და ამ სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;
ც) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების ორგანიზება;
ძ) სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფებიდან აღრიცხული თავშესაფრების და თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, სისტემატიზაცია და გაანალიზება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;
წ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, მატერიალური და კულტურული ფასეულობების ევაკუაციის ორგანიზება;
ჭ) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების ხელმძღვანელებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში სპეციალურად უფლებამოსილი პირების გადამზადების ორგანიზება;
ხ) სამეთაურო-საშტაბო, ტაქტიკურ-სპეციალური და კომპლექსური ვარჯიშების ჩატარების ორგანიზება;
ჯ) ეროვნული სისტემის სუბიექტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების მონაცემთა ბაზის შექმნა;
ჰ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული სისტემის სუბიექტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მომზადების ორგანიზება;
ჰ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

ჰ[2]) საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
ჰ[3]) ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მოწვევის თაობაზე წინადადებების წარდგენა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისა და ექსპერტიზის ჩატარების მიზნით;
ჰ[4]) ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმების შემუშავების კოორდინირება;
ჰ[5]) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტისა და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შედგენის კოორდინირება;
ჰ[6]) სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან თანამშრომლობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის მიზნით;
ჰ[7]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

თავი III
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

მუხლი 7
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) პრევენციული ღონისძიებების სამმართველო;
ბ) დაგეგმვისა და მზადყოფნის სამმართველო;
გ) კოორდინაციის სამმართველო.

მუხლი 8
1. პრევენციული ღონისძიებების სამმართველოს ფუნქციებია:
ა) ქვეყნის მასშტაბით შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, პრევენციის, მათი შედეგების შემცირებისა და ლიკვიდაციის, ასევე აღდგენითი სამუშაოების განხორციელების მიზნით სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინირება და კონტროლი;
ბ) შესაბამისი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის შეკრება და დამუშავება;
გ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მათი შედეგების შემცირებისა და ლიკვიდაციის, ასევე საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული და მუნიციპალური მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავების კოორდინირება;
დ) რისკის ხარისხებიდან გამომდინარე ქალაქებისა და ობიექტების კატეგორირება. აგრეთვე, რისკის დონეების განსაზღვრა;
ე) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების მუდმივი ანალიზი და სამსახურის უფროსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმირება ვითარების შესახებ. აგრეთვე, შესაბამისი უწყებებისათვის ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება;
ვ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყებებსა და დაწესებულებებთან ერთად საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრა, მისი წინმსწრები მოვლენების მონიტორინგი და, ამ მიზნით, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმების ფარგლებში ცალკეული ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა და წარმომადგენლობა;
თ) საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზება;

ი) ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მოწვევის თაობაზე წინადადებების წარდგენა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისა და ექსპერტიზის ჩატარების მიზნით;
კ) ქვეყნის მასშტაბით რისკის მართვის გეგმების შემუშავების კოორდინირება;
ლ) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტისა და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შედგენის კოორდინირება;
მ) სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან თანამშრომლობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის მიზნით;
ნ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის ორგანიზება;
ო) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
2. დაგეგმვისა და მზადყოფნის სამმართველოს ფუნქციებია:
ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების შემუშავება;
ბ)სასწავლო დაწესებულებების მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსახორციელებელი საგანგებო სიტუაციების პრევენეციისა და რეაგირების, ასევე უსაფრთხოების სასწავლო პროგრამების შეთანხმება;
გ) არსებული ვითარების ანალიზის მიზნით, ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ასევე სამუშაო ჯგუფების შექმნა მათი წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით;
დ) საგანგებო სიტუაციის შემდგომ პერიოდში გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა და ანალიზი;
ე) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქციების მომზადებაში მონაწილეობა;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმების ფარგლებში ცალკეული ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან თანამშრომლობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის მიზნით;
თ) ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების კოორდინირება;
ი) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის მომზადების ორგანიზება და ამ სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
კ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების ორგანიზება;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, მატერიალური და კულტურული ფასეულობების ევაკუაციის გეგმების შემუშავების ორგანიზება;
მ) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების ხელმძღვანელებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში სპეციალურად უფლებამოსილი პირების გადამზადების ორგანიზება;
ნ) სამეთაურო-საშტაბო, ტაქტიკურ-სპეციალური და კომპლექსური ვარჯიშების ჩატარების ორგანიზება;
ო) ეროვნული სისტემის სუბიექტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების მონაცემთა ბაზის შექმნა;
პ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული სისტემის სუბიექტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მომზადების ორგანიზება;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

რ) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის პროექტის შემუშავების კოორდინირება;

ს) სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფებიდან აღრიცხული თავშესაფრების და თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, სისტემატიზაცია და გაანალიზება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის ორგანიზება;

უ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. კოორდინაციის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ხელშეწყობის მიზნით ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული კავშირების უზრუნველყოფა და კოორდინირება;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

ე) ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვის დროს, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და სამაშველო ჯგუფების მოთხოვნის საჭიროების განსაზღვრა და წინადადების მომზადება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, მატერიალური და კულტურული ფასეულობების ევაკუაციის კოორდინაცია;

თ) საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვაში მონაწილობა;

ი) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებაში მონაწილობა;

კ) საომარი მდგომარეობის დროს, კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული თავდაცვის გეგმითა და მშვიდობიანობის დროს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების კოორდინირება;

ლ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული სისტემის მონაწილე სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტებიდან გამომდინარე უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინირება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის მიმდინარეობისა და განვითარების დინამიკის შესახებ;

ო) საგანგებო სიტუაციების ეროვნული სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება, მათთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციების მომზადება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმების ფარგლებში ცალკეული ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა და წარმომადგენლობა;
ჟ) ეროვნული დონის საგანგებო სიტუაციის დროს შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვაში მონაწილეობა;
რ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

თავი IV
დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილებანი

მუხლი 9

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე.
3. დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძრვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
ბ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, წყვეტს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;
გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს შორის, ზედამხედველობს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;
დ) დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციას ანაწილებს დეპარტამენტის მოსამსახურეებზე;
ე) კონტროლს უწევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მითითებების/ინსტრუქციების შესრულებას დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტში სტაჟირების გავლას;
ზ) სამსახურის უფროსს და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა წახალისების თაობაზე;
თ) მიმართავს სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;
ი) აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის, წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის შესახებ;
კ) სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;
ლ) შუამდგომლობს დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;
მ) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტაციას;

ნ) ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ, სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს ანგარიშს სამმართველოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
ო) პერიოდულად ისმენს ანგარიშს დეპარტამენტში შემავალი დანაყოფების უფროსებისა და მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 10

1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის, ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.
2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის დავალებებს და განიხილავს დეპარტამენტში შესულ კორესპონდენციას;
გ) ანაწილებს დავალებებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებსა და მოსამსახურეებს შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
დ) კონტროლს უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;
ე) ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
ვ) პერიოდულად აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;
ზ) ასრულებს სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;
თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას ან მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს მისი მოადგილე, ხოლო დეპარტამენტის უფროსის და მისი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით.

მუხლი 11

1. დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი.
2. სამმართველოს უფროსი:
ა) წარმართავს სამმართველოს საქმიანობას და წყვეტს სამმართველოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ანაწილებს საქმეებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის და უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზებას ზედამხედველობს სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივ და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;
გ) ახორციელებს სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
დ) კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს უწევს სამსახურის უფროსის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, ასევე დეპარტამენტის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულებას;
ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. სამმართველოს უფროსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის, ანგარიშვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის, კურატორი უფროსის მოადგილისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის წინაშე.